ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის №15 (ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.10.13.040.089),
3526 კვ.მ
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
გ ე გ მ ა
საფუძველი:

სიტუაციური სქემა



პირობითი აღნიშვნები

- ქ.ს. — საცხ.სახლი
- ქ.ა. — არასაცხ.სახლი
- ფარდ — ფარდული
- მშენებარე — მშენებარე
- რეზერ — რეზერვუარი
- სატრანსფორ. ჯიხური
- რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვარი
- გრუნტის გზა
- კოლექტორი
- ქვის ღობე
- ხის ღობე
- ბეტონის კედელი
- ვაზი
- ბუჩქი
- ხის ნერგები
- სამეთვალყურეო ჭა
- გარე განათება
- ქარსაცავი ზოლი
- ხეები
- UTM- საერთაშორისო
- საგზაო ნიშანი
- წყალი
- კავშირგაბმულობა
- კანალიზაცია
- გაზი
- ელ–ბოძი
- ასფალტი
- წყლის ვენტილი
- მეტალის ბოძი
- გაზის აღმრიცხველი

შპს „გეოპოინტი“		
დირექტორი		პ. გელიაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა		ზ. ქლენტი
აზომვა შეასრულა		ზ. ქლენტი
მასშტაბი 1:500	29.05.2022	



პირობითი აღნიშვნები

- საკადასტრო საზღვარი
- შენობიდან დაშორება 3 მეტრი
- არსებული ბუჩქების ნიშნული
- არსებული ხეების ნიშნული
- მოსაჭრელი
- გადასარგავი
- მოიჭრება საკომპენსაციო რგვის ვალდებულებით
- მოიჭრება საკომპენსაციო თანხის გადახდის სანაცვლოდ

შენიშვნა

მოსაჭრელ-გადასარგავი ხეები

ს/კ 01.10.13.040.089

გადასარგავი

10-11-ბოყვი, 12-13- აკაცია თეთრი, 14-შავი ვერხვი, 15-16- ხვალო, 17-18- შავი ვერხვი, 19-ხვალო, 20-შავი ვერხვი, 28-კავკასიური აკაკი, 29-თელა მინდვრის, 34-35-იფანი ჩვეულებრივი, 38-40- იფანი ჩვეულებრივი, 41-კავკასიური აკაკი, 43-აკაცია თეთრი, 45-ამერიკული ნეკერჩხალი, 46-48-აილანთუსი, 50-კავკასიური აკაკი, 52-კავკასიური აკაკი, 57-კავკასიური აკაკი, 58-59-აკაცია თეთრი, 60-კავკასიური აკაკი, 61-62-იფანი ჩვეულებრივი, 64-კავკასიური აკაკი, 66-კავკასიური აკაკი, 67-იფანი ჩვეულებრივი, 71-72 კავკასიური აკაკი, 74-კავკასიური აკაკი, 75-76-კავკასიური აკაკი, 79- აკაცია თეთრი, 80-აილანთუსი, 81-82-კავკასიური აკაკი, 87-კავკასიური აკაკი, 89-კავკასიური აკაკი, 91-კავკასიური აკაკი, 92- იფანი ჩვეულებრივი, 93-აკაცია თეთრი, 94-კავკასიური აკაკი, 96- 98- კავკასიური აკაკი, 99-101 -აკაცია თეთრი, 103-105- კავკასიური აკაკი, 106-ბიოტა აღმოსავლური, 107-კავკასიური აკაკი, 109-112-კავკასიური აკაკი, 113-ხვალო, 114-ხვალო, 116-117-აკაცია თეთრი, 118-ხვალო, 120-აკაცია თეთრი, 123-138-აილანთუსი, 139-ბიოტა აღმოსავლური, 142-კვიდო იაპონური, 143-კვიდო იაპონური, 145-კვიდო იაპონური, 146-აკაცია თეთრი, 147-კავკასიური აკაკი, 148-კვიდო იაპონური, 149-აკაცია თეთრი, 150-კვიდო იაპონური, 151-ბიოტა აღმოსავლური, 152-კვიდო იაპონური, 153-კავკასიური აკაკი, 155-იფანი ჩვეულებრივი, 156-კვიდო იაპონური, 157- ბიოტა აღმოსავლური, 158-162-კვიდო იაპონური, 163-კავკასიური აკაკი, 164-აკაცია თეთრი, 165-კავკასიური აკაკი, 166-168-აკაცია თეთრი, 169-172-აილანთუსი,

მოსაჭრელი

25-ლეღვი, 26-ლეღვი, 33-ლეღვი, 37-ტყემალი, 73-ტყემალი, 77-გარგარი, 95-გარგარი, 102-ტყემალი, 108-გარგარი, 119-ტყემალი,

მოიჭრება საკომპენსაციო რგვის ვალდებულებით

21-ხვალო, 31- ხვალო, 32- კანადური ვერხვი, 42-თუთა, 49-აკაცია თეთრი, 63-კავკასიური აკაკი, 69-აკაცია თეთრი, 70-აილანთუსი, 78-ხმობადი, 115-თუთა, 121-აკაცია თეთრი, 140-აკაცია თეთრი, 141-კავკასიური აკაკი, 154-აკაცია თეთრი,

მოსაჭრელი საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებით

8-9 თუთა, 22-თუთა, 23-თუთა, 36-კანადური ვერხვი, 44-თუთა, 51-თუთა, 53 -56-თუთა , 65-თუთა, 68-თუთა, 122-თუთა, 144-თუთა,

ზოგადი ინფორმაცია

მისამართი: ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N 15

საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.089

საერთო ფართობი: 3526.00 კვ.მ. კ-3 = 705,2 (0,2)

შემსრულებელი კომპანია შპს "ტასჰაბი"

დირექტორი სერგო გიორგაია

დენდროლოგი თეიმურაზ ნაფეტვარიძე

ნახაზის სახელწოდება
მოსაჭრელ-გადასარგავი ხეების გენ. გეგმა

მასშტაბი

ფორმატი
A3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 23 აპრილის N18-0124114304 დასკვნასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ შპს „ჰოუმმარტსა" ს/კ: 405253489 (შპს „იბერკომაპნის" ს/კ: 211358181 უფლებამონაცვლე) და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2015 წლის 25 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და აღნიშნულ ხელშეკრულებაში 2021 წლის 23 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, მიწის ნაკვეთი ს/კ: 01.10.13.040.089 (მისამართი: ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N15) შპს „ჰოუმმარტს" ს/კ: 405253489, როგორც „მყიდველ" მხარეს გადაცემული აქვს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. კერძოდ, 2021 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია 2021 წლის 23 სექტემბრიდან არა უგვიანეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს:

ა) „ქონებაზე" ან მის ნაწილზე არანაკლებ 12 000 კვ.მ ფართის მქონე შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექსპლუატაციაში მიღება;

ბ) „ქონებაზე" ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაშენებლი შენობა-ნაგებობის ტერიტორიის ან მისი ნაწილის კეთილმოწყობა (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) გარე განათების, ასფალტის ან/და ბეტონის საფარიან ტეირტორიას).

წინამდებარე წერილს თან ვურთავთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. ზემოაღნიშნული ვალდებულება ასევე რეგისტრირებულია საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ უძრავი ქონების ამონაწერში (რეგისტრაციის N882015164280, 882021817804).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.10.13.040.089 საპროექტო შენობის განთავსება წარმოადგენს სახელმწიფოს წინაშე შესასრულებელ ვალდებულებას და სამწუხაროდ, მიწის ნაკვეთი არ იძლევა იმგვარ შესაძლებლობას რომ შენობა დაპროექტდეს თქვენს N18-0124114304 დასკვნაში მითითებულ მწვანე ნარგავებთან მიმართებაში 3 მეტრიანი მანძილის დაშორებით.

ჩვენი მხრიდან მზად ვართ სრულად ავიღოთ პასუხისმგებლობა და ვალდებულება დასკვნით წარმოდგენილი გადასარგავი ხეების მოვლა-პატრონობაზე და ასევე მოჭრილი ხეების ჩანაცვლების მიზნით საკომპენსაციო მწვანე ნარგავების შეძენასა და დარგავზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გასცეთ დადებითი პოზიცია წარმოდგნილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოს გამოყენების პირობების დადგენაზე.

შპს „ჰოუმმარტი" ს/კ: 405253489

უფლებამოსილი წარმომდგენელი

ლევან მაღლაკელიძე

23.05.2024



საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

დაინტერესებული პირი: შპს ჰოუმმარტი
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **405253489**
უფლებელი / იურიდიული მისამართი: **საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N37ლ, სართ. 1, ბლოკი B**

წარმომადგენელი: **ლევან დიასამიძე**
პირადი ნომერი: **17001000820**
მისამართი: **თბილისი ძოწის ქ. N 21**

განცხადების წარმომდგენი: **ნინო კუპრაშვილი-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო**
პირადი ნომერი: **38001006643**

განცხადება

მოვითხოვ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინოთ **უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია**, მდებარე: **ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N 15** [ზონა:თბილისი, სექტორი: საბურთალო, საკადასტრო კოდი: **01.10.13.040.089**] და განცხადების წარმომდგენზე გასცეთ:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი

მოსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 50 ლარი.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6^2 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს საგენტოსთვის წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის მონაცემების სისწორე და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა.

დაინტერესებული პირი: ---------- შპს ჰოუმმარტი

წარმომადგენელი: ---------- ლევან დიასამიძე

განცხადების წარმომდგენი: ---------- ნინო კუპრაშვილი-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო

განცხადების წარდგენის თარიღი: 23 სექ 2021

მიმღები: ნინო კუპრაშვილი

ხელშეკრულება

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „იბერკომპანის" (ს/ნ 211358181) (უფლებამონაცვლე შპს „ჰოუმმარტი" (ს/ნ 405253489) შორის 2015 წლის 25 მარტს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი 23 სექტემბერი, 2021 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში - „გამყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავის თათია რუსიას (პ/ნ 57001044748) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2021 წლის 01 თებერვალს გაცემული №4/3687 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, შპს „ჰოუმმარტი" (ს/ნ 405253489) (შპს „იბერკომპანის" (ს/ნ 211358181) უფლებამონაცვლე) (შემდგომში - „მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ლევან დიასამიძის (პ/ნ 17001000820) მიერ,

ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე"

ვხელმძღვანელობთ რა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „იბერკომპანის" (ს/ნ 211358181) (უფლებამონაცვლე შპს „ჰოუმმარტი" (ს/ნ 405253489) შორის 2015 წლის 25 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდგომში - „ხელშეკრულება")(ს/კ 01.10.13.040.089); „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერკომპანისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2620 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „ჰოუმმარტის" საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 სექტემბრის №1670 განკარგულებითა (შემდგომში - „ცვლილების განკარგულება"), და შპს „ჰოუმმარტის" (ს/ნ 405253489) დირექტორის ლევან დიასამიძის (პ/ნ 17001000820) მიერ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში 2021 წლის 22 სექტემბერს წარმოდგენილი №111456/04 განცხადებით, ვდებთ წინამდებარე ცვლილების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ცვლილების ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. „ხელშეკრულებაში" შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) **„ხელშეკრულების" 3.1.1 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3.1.1. „2021 წლის 23 სექტემბრიდან არა უგვიანეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს:

ა) „ქონებაზე“ ან მის ნაწილზე არანაკლებ 12 000 კვ.მ ფართის მქონე შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექსპლუატაციაში მიღება;

ბ) „ქონებაზე“ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ტერიტორიის ან მისი ნაწილის კეთილმოწყობა (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) გარე განათებას, ასფალტის ან/და ბეტონის საფარიან ტერიტორიას).“

ბ) „ხელშეკრულების“ 5.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1. „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს (ს/ნ 202906427) მიერ 2019 წლის 13 თებერვალს გაცემული №BGCP0357/130219 საბანკო გარანტია (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) (შემდეგში, „საბანკო გარანტია“) უზრუნველყოფს ხელშეკრულების 3.1.1; 3.1.2 ქვეპუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.“

გ)„ხელშეკრულების“ 6.5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.5 „ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.05%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“

დ) „ხელშეკრულების“ 8.2.1 და 8.2.2 ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.2.1. „გამყიდველის“ შემთხვევაში:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი №49ა, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 298 11 11; +995 32 299 11 11

8.2.2 „მყიდველის“ შემთხვევაში:

შპს „ჰოუმმარტი“

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №37ლ.

ტელ: 577221131

მუხლი 2

„ცვლილების განკარგულების" მე-3 პუნქტის თანახმად, „მყიდველი" თავისუფლდება „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებისა და 3.1.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის „ხელშეკრულების" საფუძველზე, ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან იმ პირობით, რომ „მყიდველი" შეასრულებს „ხელშეკრულების" 3.1.1 და 3.1.2 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამასთან, აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება ქარწყლდება.

მუხლი 3

3.1 „ხელშეკრულებაში" განხორციელებული ცვლილება არ ცვლის „ხელშეკრულების" სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

3.2 „ხელშეკრულებაში" განხორციელებული ცვლილებ(ებ)ა და დამატებ(ებ)ა მიიჩნევა „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ხელშეკრულების" განმარტების დროს.

მუხლი 4

4.1 წინამდებარე შეთანხმება ძალაშია „მხარეების" მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

4.2 „მყიდველი" ვალდებულია დაფაროს წინამდებარე შეთანხმების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ხარჯი.

4.3 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად.

„გამყიდველი"	„მყიდველი"
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"	**შპს „ჰოუმმარტი"**
წარმომადგენელი: თათია რუსია თათია რუსია	წარმომადგენელი: ლევან დიასამიძე ლევან დიასამიძე
თ. რუსია	

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ეგზამპლიარი №660
თარიღი 23 ოქტომბერი 20_ წ.
რეგისტრირებულია 03 ნომერი 657

KA021701159510321

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/3687

01 / თებერვალი / 2021 წ.

მინდობილობა

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში - სააგენტო) იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავეს თათია რუსიას (პ/ნ 57001044748) მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ მან, როგორც სააგენტოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გააფორმოს ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზებას (პირდაპირი მიყიდვის ან აუქციონის ფორმით) (გარდა უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გასაფორმებელი და სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებისა), სახელმწიფო ქონების მართვის უფლებით და სარგებლობაში გადაცემას და ქონების გაცვლის ხელშეკრულებას, აგრეთვე, სახელმწიფო ქონების პრივატიზების (პირდაპირი მიყიდვის ან აუქციონის ფორმით), სახელმწიფო ქონების მართვის უფლებით და სარგებლობაში გადაცემის, ან ქონების გაცვლის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

ქონების ეროვნული სააგენტო
ქონების მართვის სამსახური
205 005 910
LEPL - NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY


GEO
TATIA
RUSSIA
GEO
88 / F
57001044748
19.01.1994
26.12.2023
13IC83792


GEO
LEVAN
DIASAMIDZE
GEO
88 / M
17001000820
23.02.1980
02.05.2024
13IE31905

ძემოვლის ფურცელი

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **882015164280**

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 25 მარ 2015 12:37



პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე

დაინტერესებული პირი: შპს 'იბერკომპანი' /211358181/

წესაკუთრე: //

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი , აკადემქალაქის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: **01.10.13.040.089**

მოშსახურების ვადა: **4 დღე**

საფასური: **50 ლარი**

მიმღები: ნინო ჯუპრაშვილი

10744620

განცხადების ნომერი:
NW10744620

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს

დაინტერესებული პირი: შპს "იბერკომპანი"
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: 211358181
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი:

წარმომადგენელი: ბექა კოკალეიშვილი
პირადი ნომერი: 01009014841
მისამართი: თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 46ნ ბ. 26ა

[illegible]: ნინო კუპრაშვილი-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პირადი ნომერი: 38001006643

განცხადება

[illegible] პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე [illegible] ქალაქი თბილისი , აკადემქალაქის მიმდებარედ [illegible]

1. [illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

[illegible]: 4 [illegible]
[illegible]: 50 ლარი

[illegible] ---------------------------------- /შპს "იბერკომპანი"/

[illegible] ---------------------------------- /ბექა კოკალეიშვილი/

[illegible] ---------------------------------- /ნინო კუპრაშვილი-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო/

განცხადების წარდგენის თარიღი: 25 მარ 2015

ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 25 მარტი, 2015

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (*შემდეგში*, „გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავე, გვანცა ნასყიდაშვილის (პ/№01019023615) სახით, მოქმედი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 12 იანვარს გაცემული №4/1193 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე

და **შპს „იბერკომპანი"** (ს/კ 211358181) (*შემდეგში*, „მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბექა კიკალეიშვილის (პ/ნ 01009014841) მიერ,

შემდეგში ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერკომპანისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N2620 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება").

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" საკუთრებაში იღებს ქ. თბილისში, აკადემიქალაქის მიმდებარედ არსებულ 3526 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.13.040.089) (შემდეგში, „ქონება") „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი" ვალდებულია პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის 800 000 (რვაასი ათასი) ლარის გადახდა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში.

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

2.2. საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.3. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი გამყიდველის ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.4. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

2.5. ხელშეკრულების 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს "_მყიდველს".

მუხლი 3. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

3.1. „მყიდველი“ ვალდებულია:

3.1.1 უზრუნველყოს, „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით:

ა) „ქონებაზე“ ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 12 000 კვ.მ ფართის მქონე შენობა - ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა და კანონით დადგენილი წესით, ექსპლუატაციაში მიღება;

ბ) „ქონებაზე“ „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაშენებელი შენობა - ნაგებობ(ებ)ის ტერიტორიის კეთილმოწყობა, რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ, არ შემოიფარგლება) გარე განათებას, ასფალტის ან/და ბეტონსაფარიან ტერიტორიას;

3.1.2. უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

3.1.3. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაარეგისტრიროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" (შემდეგში, „რეესტრი") და დაფაროს „ქონებაზე" საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების „რეესტრში" რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი.

3.1.4. „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გაცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც უნდა ასახავდეს ხელშეკრულების 3.1.1. მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.1.5. „ხელშეკრულების" 3.1.2 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გაცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც უნდა ასახავდეს ხელშეკრულების 3.1.2. მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

3.1.6. „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

3.2.„გამყიდველი" ვალდებულია, „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს" „ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების" გაფორმების და საკუთრების უფლების „რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, „ქონებაზე" საკუთრების უფლება „მყიდველს" გადაეცემა „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „მყიდველს" „ქონება" მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3. „ქონებაზე" საკუთრების უფლებასთან ერთად „რეესტრში" რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

4.4. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.5 „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურება „გამყიდველის" მიერ განხორციელდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" „ხელშეკრულების" 3.1.4. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.6. „ხელშეკრულების" 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის" მიერ განხორციელდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" „ხელშეკრულების" 3.1.5. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.7. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" განხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია, „ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით". „ქონების" განხვისების შესახებ წერილობით უნდა ცნობოს "გამყიდველს".

4.7. „მყიდველი" უფლებამოსილია, „სააგენტოს" წერილობითი თანხმობის არსებობობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება". „ქონების იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში მოქმედებს „ხელშეკრულების" დადების მომენტისათვის

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული რეგულაციები.

4.8. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, მოქმედებს „ხელშეკრულების" დადების მომენტისათვის „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N1-1/1537 ბრძანების მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული რეგულაციები. „ქონების" ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

მუხლი 5. საბანკო გარანტია

5.1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მიერ 2015 წლის 19 მარტს გაცემული №BGCP0367/160315 საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2.1. 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

5.2. მყიდველი ვალდებულია „საბანკო გარანტიის" თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

5.3. „მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის" მხრიდან, ხელშეკრულების 6.9. და/ან 6.10. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, „საბანკო გარანტიის" თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 6. „მხარეთა" პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების" შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

6.2. „ხელშეკრულების" 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს"

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3. „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. „ხელშეკრულების" 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1 %-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6. "ხელშეკრულების" 3.1.6. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

6.7. „ხელშეკრულების" 5.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის 0.1 %-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.8. „ხელშეკრულებით" ნაკისრი თითოეული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.9. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება".

6.10. „ხელშეკრულების" ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება" უბრუნდება „გამყიდველს". „მყიდველს" არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ამასთან, „ხელშეკრულების" ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მოქმედებს „ხელშეკრულების" დადების

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მომენტისათვის „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული რეგულაციები.

6.10. „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის" ან „მყიდველის" კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის ჩარმოების შეფერხებით, საბოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა საშხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აკანყებით, ძიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ „მხარის" კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ "მხარეს" არ შეეძლო.

7.2. „მხარე", რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს" ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე. ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" ძიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

